



საერთაშორისო პროექტი - „მათემატიკა – ყველასათვის!“

2017 წლის იანვარში ასოციაცია „ბალავარმა“ დაიწყო საერთაშორისო პროექტ **„მათემატიკა – ყველასათვის!“** განხორციელება, რომლის ერთ-ერთი ქვეპროექტია **„LE-MATH“**; იგი ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე პროექტია, რომელიც, თავის მხრივ, 4 საერთაშორისო კონკურსს (MATHeatre Europe Competition, MATHFactor Europe Competition, MATHPoster Design Competition, MATHPresentation Competition) მოიცავს.

LE-MATH საქართველოში მეორედ ტარდება: 2014-2015 სასწავლო წელს ასოციაცია „ბალავარმა“, განათლების სამინისტროს დაფინანსებით, საქართველოს 55 რაიონში დიდი წარმატებით განახორციელა საერთაშორისო პროექტი (ქართული სახელწოდების - „კუერტდებით ევროპას!“ - დამატებით), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 570 სკოლამ, 5000-ზე მეტმა მოსწავლემ, მასწავლებელმა, მშობელმა, მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა; საქართველოს რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულმა **სამმა სკოლამ** და **ოთხმა მოსწავლემ** უპრობლემოდ გადალახეს ევროპის შესარჩევი ტურები; საერთაშორისო ჟიურიმ ისინი ფინალურ ტურზე - **European Student Conference in Mathematics**-ზე მიიწვია საბერძნეთის დედაქალაქ ათენში. ასე რომ, საქართველოს გუნდმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონკურსებში: **MATHeatre, MATHFactor, MATHPoster** და, კვიპროსის გუნდთან ერთად, **I ადგილი დაიკავა!**

დანართები: ევროშედეგები და საქართველოს გუნდების გამოსვლის ვიდეო ჩანაწერების ლინკები.

მიმდინარე წელს ასოციაცია „ბალავარი“ ევროკავშირის პროექტ **LE-MATH**-ს ახორციელებს „საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოებასთან“ ერთად.

საერთაშორისო პროექტ LE-MATH-ის განხორციელების საპარაულო ბრაზიკი

პროექტის განხორციელების ეტაპები	პროექტის განხორციელების ვადები	პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობის/საქმიანობის დასახელება
I	22.04 – 22.06, 2017 წ	მასწავლებელთა ტრენინგები ონლაინ რეჟიმში (სასწავლო კურსის დასახელება: „ მათემატიკის სწავლება ახალი საკომუნიკაციო ფაქტორების გამოყენებით “, ევროკავშირის პროექტ Le-Math-ის მიხედვით).
II	22.09 – 22.12, 2017 წ	1)Le-Math-ის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება ონლაინ რეჟიმში; 2)Le-Math-ის რესპუბლიკური კონკურსების ორგანიზება „ცოცხალ“ რეჟიმში.
III	22.01 – 22.04, 2018 წ	მზადება Le-Math-ის ფინალური ტურისათვის და მონაწილეობის მიღება European Student Conference in Mathematics -ში.
შემაჯამებელი	აპრილი, 2018 წ	პროექტის სტისტიკური მონაცემების გაკეთება; ევროშედეგების შეჯამება; ბენეფიციართა ანკეტირება .

ონლაინ ტრენინგების გეგმა

№	სასწავლო კურსის მიმართულება	მუშაობის ფორმა	საათების რაოდენობა	მიმართულების შესაბამისი აქტივობა/საქმიანობა სქემაში
1	Le-MATH-ის ზოგადი მიმოხილვა	საინფორმაციო ლექცია	1	-
2	MATHeatre (მათემატიკური თეატრი)	ლექცია	4	კონკურსისათვის მოსწავლეთა მომზადება; კოლეგებთან შეხვედრაზე მონაწილეობა; თავისუფალი გაკვეთილი; საწრეო მუშაობა; საზაფხულო სკოლის მოწყობა.
		დისკუსია	3	
3	MATHFactor (მათემატიკური ფაქტორი)	ლექცია	3	კონკურსისათვის მოსწავლეთა მომზადება; კოლეგებთან შეხვედრაზე მონაწილეობა; თავისუფალი გაკვეთილი; საწრეო მუშაობა; საზაფხულო სკოლის მოწყობა.
		დისკუსია	2	
4	MATHPoster (მათემატიკური პოსტერი)	ლექცია	1	კონკურსისათვის მოსწავლეთა მომზადება; კოლეგებთან შეხვედრაზე მონაწილეობა; სასწავლო რესურსის შექმნა.
		დისკუსია	1	
5	MATHPresentation (მათ. პრეზენტაცია)	ლექცია	1	კონკურსისათვის მოსწავლეთა მომზადება; კოლეგებთან შეხვედრაზე მონაწილეობა; სასწავლო პროექტი.
		დისკუსია	1	

17

№	სასწავლო კურსის მიმართულება	საათ. რაოდ.
1	მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის წარმოების ინსტრუქტაჟი	3
		20

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება საერთაშორისო პროექტ LE-MATH-ში

საერთაშორისო პროექტ **Le-Math**-ში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ საჯარო და კერძო სკოლას, მასწავლებელსა და მოსწავლეს. კონკურსში მონაწილეობენ 9-დან 18 წლის ასაკის მოსწავლეები.

რას აძლევს სკოლას საერთაშორისო პროექტ LE-MATH-ში მონაწილეობა

უკანასკნელი წლების ევროპული გამოცდილება მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ხელშესახებ გაუმჯობესებას სწავლებაში არატრადიციული მეთოდების დანერგვა იწვევს. ყველასათვის ცნობილია, რომ განათლების მინისტრი, ბატონი ალ. ჯეჯელავა, არის არაფორმალური განათლების განვითარების მომხრე და ამ მიმართულებით ქმედითი, პროდუქტიული ღონისძიებების მხარდამჭერი; სწორედ მან შემოიტანა კიდევ „თავისუფალი გაკვეთილის“ იდეა და დაიწყო მისი მასშტაბური პილოტირება;

აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირის პროექტ **LE-MATH**-ის კონკურსები **MATHeatre** და **MATHFactor** „თავისუფალი გაკვეთილის“ შესანიშნავი მოდელებია!

რას აძლევს სკოლას საერთაშორისო პროექტ Le-Math-ში მონაწილეობა? -

1) სკოლის, მოსწავლეებისა და პედაგოგების ინტეგრაციას ევროკავშირის საგანმანათლებლო სფეროში, რაც გამოიხატება 2018 წლის მარტში **European Student Conference in Mathematics**-ში სკოლის უშუალოდ მონაწილეობით, კერძოდ: ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ საერთაშო-

რისო მათემატიკურ კონკურსებში(MATHeater Europe Competition, MATHFactor Europe Competition, Mathematics Poster Design Competition, MATHPresentation Competition) სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობაში;

2) კონკრეტული სკოლის სასწავლო სივრცეში ახალი ევროპული მეთოდის - „**მათემატიკის სწავლება ახალი საკომუნიკაციო ფაქტორების გამოყენებით**“- დანერგვას;

ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათემატიკის სწავლების ახლებური მიდგომების დანერგვა სკოლაში იწვევს მოსწავლეთა მასობრივ დაინტერესებას მათემატიკით, ამ საგნის სწავლისადმი მოტივაციის გაზრდას, საინტერესო და სასწავლო გარემოს შექმნას სკოლაში როგორც მოსწავლეთათვის, ასევე – პედაგოგებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს სწავლის ხარისხის ხელშესახებ გაუმჯობესებას!

რას აძლევს მასწავლებელს საერთაშორისო პროექტ LE-MATH-ში მონაწილეობა

1) მასწავლებლები გაეცნობიან **მათემატიკის სწავლების ევროპულ ინოვაციურ მეთოდებს**. სწავლების ეს ახლებური მიდგომა იწვევს მათემატიკით იმ მოსწავლეების დაინტერესებასაც კი, რომელთაც არასოდეს ჰყვარებიათ ეს საგანი!

2) მათემატიკური თეატრისა და მათემატიკური ფაქტორის თემები ყველა მოსწავლისათვის მარტივად გასაგები და მარტივად დასამახსოვრებელი ხდება!

3) მათემატიკური თეატრისა და მათემატიკური ფაქტორის თემების შესასწავლად გაცილებით ნაკლები დრო იხარჯება, ვიდრე კლასიკური მეთოდებით სწავლებისას!

შენიშვნა: 1-3 გამონათქვამები დაფუძნებულია არა მარტო ევროპული, არამედ - საქართველოში განხორციელებული პროექტის მონიტორინგის მასალებზეც.

4) პროექტში მონაწილეობა მასწავლებელს **ეხმარება დამატებითი კრედიტების დაგროვებაში**, კერძოდ, როგორც ცნობილია, თუ მასწავლებელი განახორციელებს დამატებით აქტივობებს (ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ), მას **2017 წლის დასასრულამდე შეუძლია დააგროვოს 5,5-მდე დამატებითი კრედიტული**.

საერთაშორისო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი დამატებითი აქტივობების ჩამონათვალი: კონკურსისათვის მოსწავლეთა მომზადება; კოლეგებთან შეხვედრის ორგანიზება და/ან მონაწილეობა; თავისუფალი გაკვეთილი; საკლუბო და საწრეო მუშაობა; საზაფხულო სკოლის მოწყობა; სასწავლო რესურსის შექმნა და სასწავლო პროექტის დამუშავება.

დანართები: განმარტებითი ბარათი კრედიტულებთან დაკავშირებით და იურიდიული დასკვნა.

რას აძლევს მოსწავლეს საერთაშორისო პროექტ LE-MATH-ში მონაწილეობა

აქ თავისუფლად შეიძლება გამოერდეს წინა კატეგორიის 1-ლი და მე-2 პუნქტები, კერძოდ:

1) პროექტში მონაწილეობა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას მათემატიკის სწავლისადმი. **Le-Math**-ის კონკურსები იმდენად სახალისო და საინტერესოა მოზარდებისათვის, რომ მათში ჩართვის სურვილს აცხადებენ არა მხოლოდ მათემატიკის ნიჭით გამორჩეული მოზარდები, არამედ ისინიც, რომელთაც არა აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება და მიღწევები ამ საგანში.

Le-Math-ის საერთაშორისო კონკურსები ხელს უწყობენ **ჰუმანიტარული მიდრეკილებების მქონე** (მხატვრობის, მუსიკის, სამსახიობო და სცენარების წერის ნიჭით დაჯილდოებული) **მოზარდების აქტიურ დაინტერესებას მათემატიკით**;

2) მათემატიკური თეატრისა და მათემატიკური ფაქტორის თემები მარტივად გასაგები და დასამახსოვრებელი ხდება ყველა მოსწავლისათვის!

შენიშვნა: 1-2 გამონათქვამებიც დაფუძნებულია არა მარტო ევროპული, არამედ - საქართველოში განხორციელებული პროექტის მონიტორინგის მასალებზეც.

საერთაშორისო პროექტ Le-Math-ში მონაწილეობა მოსწავლეთათვის უფასოა!
 მასწავლებელთათვის სასწავლო კურსი - „**მათემატიკის სწავლება ახალი საკომუნიკაციო ფაქტორების გამოყენებით**“ (ევროკავშირის პროექტ Le-Math-ის მიხედვით) – ფასიანია;
 ორთვიანი (20 საათიანი) კურსის გადასახადის ტარიფები იხილეთ ცხრილში;

სასწავლო კურსის ღირებულების გადახდის ვარიანტები:

1) დამფინანსებელი – სკოლა (იხ. ცხრილი)

მასწავლებელთა სრული რაოდენობა კურსი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სკოლის გადასახადი ლარში (ფასდაკლების გათვალისწინებით)	100	170	260	350	440	530	620	710	800	890

2) დამფინანსებელი – მასწავლებელი (სრული კურსის გადასახადი – 80 ლარი);

3) დამფინანსებლები – სკოლა და მასწავლებლები (სრული კურსის გადასახადი – 100 ლარი, 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით);

პროექტში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:

1) შევსებული სარეგისტრაციო ფორმის გაგზავნა პროექტის საორგანიზაციო კომიტეტში (ასოციაცია „ბალავარი“ ქვემოთ მითითებულ მისამართზე);

2) თანხის გადარიცხვა ასოციაციის ანგარიშზე (ბანკის რეკვიზიტები იხილეთ ქვემოთ).

ამ პროცედურების გავლის შემდეგ სკოლა/მასწავლებელი მიიღებს ტრენინგების ჩატარების სავარაუდო გრაფიკს;

ტრენინგებს ონლაინ (სკაიპის ან ვებინარის) რეჟიმში ჩაატარებს **ლალი ბერძენიშვილი** (ევროკავშირის პროექტ Le-Math-ის კოორდინატორი საქართველოში), ხოლო II და III ეტაპზე, ექსპერტებისა და ჟიურის წევრების სტატუსით, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ „**საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების**“ წევრები - ჩვენი ქვეყნის ცნობილი მათემატიკოსები, ასევე, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვები.

ძვირფასო პედაგოგებო, იჩქარეთ დარეგისტრირება საერთაშორისო კონკურს Le-Math-ზე, რამეთუ ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია!

P.S.: ტრენინგებზე მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი საგნის მასწავლებელს, რამეთუ მეთოდოლოგია ყველა საგნისათვის ერთია (შეფასების კრიტერიუმების ჩათვლით), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვა საგნებში, ჯერჯერობით, საერთაშორისო კონკურსები არ ტარდება.

აპრილი, 2017 წელი

საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარი“
 „საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება“
www.balavarigeorgia.ge // le-math@mail.ru // T.: 568 002 746 // 574 106 233

ასოციაცია „ბალავარის“ საბანკო რეკვიზიტები

მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“;

მიმღების დასახელება: ა(ა)იპ „საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია – ბალავარი“

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE40BG0000000617602000